

შინაური საქმეები.

№ 1.

შპსი მართი შაური

წლიური შპსი 4 მან.

წელიწადი შეეძლება

შოველ-კვირული გაზეთი

კვირა, 6 იანვარი 1913 წელი

ქვეყნის მთავრობის დასავლეთი განყოფილება

შინაური საქმეები

საქმეები № 171. და თბილისში, გამომგეულებს სომხის პარტიის, სომხის შუქის დაქვემდებარებაში, ქუთაისის სასამართლო განყოფილების მიერ.

გაზეთის შპსი.
 წლიური ფასი: 4 მანეთი.
 სამი თვე: 1 მანეთი.
 ერთი თვე: 2 აბანი.

ცალკე ნომერი ქუთაისში ერთი შაური.
 შუქის მართვის წესი და მისი მოქმედების შესახებ ასე განაწესდა: დაიწყო 2 მ. და სრულს 2 მ. დასრულდება ფასი წინა გვერდზე პეტროპოლისში. ორი შაური უკანასკნელს 7 მ. დასრულდება.

შინაური: 1. ძველი წლის უკანასკნელი წამები— იათუნისა; 2. რას გვაგვადებს ახალი წელიწადი?— ფ. სირაძესი; 3. სახალწლო ეკსპონატები— საჯავახოელი; 4. კვირიდამ-კვირამდე; 5. ხომ მშვენიერებ... გმე- ლისა; 6. მზრბელ დედას [ლექსი]— ფნეველისა; 7. მოწერილი ამბავი, ა) ს. კალასთაი, და ბ) ს. სკანდ- ალიოშისი.

საქმეების მართვის წესი

ძველი წლის უკანასკნელი წამები.
 ძველი წელიწადი კვდებოდა, ღონემიბ- დილი, დასუსტებული და განაწვალები უმა- დურ აღამიანებისადმი სამსახურით... უსაყვე- ლუროდ და უშიშრად მისხერებოდა ის პირ- დაპირ სიკვდილს და, როგორც მონა დაუსრუ- ლებელ ცვალება— განახლებისა, მიეშურებო- და საუკუნეთა სიგრცეში.

მან აღამიანებს მისცა სამას სამოც და ხუთი დღე და ღამე, ე. ი. 8760 საათი. შგო- ნი სვეპო დროა... მან ეს დრო წინაწინვე გონიერულად გაჰყო გამოამუხილებელ და სიკოცხლის მომგვრელ დილან, ძლიერ-ამოსილ და დარბაისელ შუადღეთ, ხულის და გულის დამატკობელ და აღმაფროთოვანებელ სილამოთ და დამახევენებელ წყნარ ღამეთ. მხოვალე მზრუნველობით შეადგინა სამუშაო და სასვე-



ნი დროები და მისი რა ბრალია, რომ ადამიანებმა ვერ მოასწრეს ყველა იმის გაკეთება, რაც მათ გულსა და სულსა სურდა ან ესაჭიროებოდა. სწინს, მათ ყოველივერი თავის გემოზე გადააბრუნ-გადმოაბრუნეს და შესცვალეს, თუმცა არსებულზე უკეთესის შექმნა არ შეეძლოთ და ფეხით თელვა დაუწყეს ბუნების კანონებს. არც დასაძრახნი არიან. მაშინ როდესაც, თავი მოციქულიც კი, რომელი მას არა ნებავდა, ბოროტი, მას იქმოდა. რისთვის ემართებათ ეს ადამის შვილთ, მოხუცმა წელმა კარგათ იცოდა. იცოდა ისიც, რომ, თუმცა თავის ძალ-ღონე მათ სამსახურს შეაღწია, მაგრამ ისინი კიდევ მისი უმაღური და უკმაყოფილონი იყვნენ და მაინც ათას გვარ წყველა-კრულით და აუწერელი კიცხვა-სამღურავით უგმირავდნენ მომაკვდავ მოხუცს მისუსტებულ გულს.

„ადამიანი ყოველივე ქმნილების მეფედ იწოდება, ბუტბუტებდა მომაკვდავი. მეფე? მეფეს თავის დანიშნულებისა არა გაეგებოდეს რა! რა საშინელი დაცინვაა ეს წოდება ადამიანისათვის! ყოველივერის დამმორჩილებელს, თავისი თავი ვერ დაუმორჩილებია. გაუგებარი და შესაბრალონი არიან ადამიანები ეს—„ბუნების მეფენი“, გულნაღვლიანად და სიბრალულით ჩურჩულებდა მომაკვდავი.—გსურთ და ვერ ჰპოებთ, გლეჯთ და ერჩობით ერთი მეორეს და არა გაქვთ რა, თხოულობთ და არ გეძლევათ, ვინაიღვან ნათხოვნი გინდათ ბოროტათ მოიხმარათ თქვენივე მხეცურ ლტოლვილებათათვის.

ცხრამეტი საუკუნე გავიდა, რაც ეს აზრი გამოთქვა თქვენზე მოციქულმა და ღღესეც ამგვარები ხართ. თქვენ გიხარიათ ჩემი სიკვდილი და ღვინით სავსე თასებით ხელში, მომლიმარი, ბრწყინვალე სახით, ახალი ძვირფასი ტანისამოსით, ფერად-ფერადი ფარნების შუქით, ცეკვა-სიმღერით ეგებებით მომავალს ჩემს მონაცვლე მემკვიდრეს. მერე რა გიხარიათ? რის იმედით ხართ აღტაცებულნი! რა ბედნიერებას მოვლით მისგან? ნუ თუ თქვენ არ იცით, რომ ყოველივე თქვენი მწუხარება

და ბედნიერება, სიმდიდრე-სიღარიბე თქვენშივეა? რათ არ იცით, რომ ყოველივე თქვენი ბედნიერება-უბედურობის, სიკვდილ-სიცოცხლის, ჯანმრთელობა-სნეულობის, სიღარიბე-სიმდიდრის თქვენვე ხართ მიზეზი?

ახალი წელი თქვენ მარტო იმავ 365 დღე და ღამეს მოგცემს და დანარჩენი, თუ როგორ მოიხმართ ამ დროს, ყოველივე თქვენზედვეა დამოკიდებული.

„ბუნების მეფედ“ იწოდებით, მოაზროვნეთ და ენა მეტყველათ დაიბადეთ და სად არის თქვენი აზრი და ცოდნა? დაფიქრდით და გადახედეთ გავლილ დროს. რატომ არ გრცხვენიათ, რომ ყოველთვის ასე მხიარულად ქებით და ათასგვარ იმედებით აღვისილნი შეგებებიხართ ახალს წელს და ასევე წყველა კრულით, ლანძღვა-გინებით, საყვედურით გაგისტუმრებიათ ძველი წელი, მაგრამ სასტიკი მოტყუებული კი დარჩენილხართ! რომელი თქვენივ დამორჩილებულა სულდგმული მოტყუვდება ასე, ამღენი ცდის შემდეგ? ქეშ-მარტიად საბრალონი ხართ, საბრალონი, იმეორებდა მომაკვდავი წელიწადი.

მე ვიცი, რომ თქვენ გსურსთ იყოთ ბედნიერნი, მოსვენებულნი; გინდათ დასტკბეთ დიდებით. მერე, იცით რა არის ამისთვის საჭირო?

ამისთვის საჭიროა, იყოთ თავისუფალნი და იცოდეთ სიყვარული.

თავისუფალნი თქვენ გახდებით მაშინ, როდესაც უარს ჰყოფთ სიცრუეს და მიენდობით სიმართლეს, როდესაც იმას იქმთ სხვისათვის, რაც თქვენ გსურსთ, რომ სხვებმა გიყონ, როდესაც აღარ შეგეშინდებათ ტანჯვა-წვალების, როდესაც თქვენს უბადრუკ თვითმოყვარეობას დათრგუნის ხმა თქვენი კეთილი სინდისისა და მკაცრი პატიოსნება-ზნეობისა.

შეიყვარებთ მაშინ, როდესაც სხვას მისცემთ იმას კი არა, რაც თქვენ გემეტებათ, არამედ იმას, რაც მათ ესაჭიროებათ და ითხოვენ თქვენგან.

მოისვენებთ მაშინ, როდესაც მხოლოდ მას მოისურვებთ, რაც თქვენთვის უსაჭიროე-

სობას შეადგენს და არა ყოველივე მას, რაც სხვებს აქვს...

შეგიძლიათ გახდეთ დიდებულნი და უმაღლესნი, თუ ყველა თქვენზე მტირე და პატარასთან, დაჩაგრულ და შეურაცხყოფილთან იქნებით თავმდაბლნი და მოსამსახურე, და თუ ამათ ყოველივეს უსაყვედუროთ და უეჭვოთ იქმთ თქვენ, სრულს სიტკბოება-ნეტარებას იგემებთ თქვენსავე მოვალეობის აღსრულებაში; დარწმუნდებით, რომ თქვენ არ მოგიტყუებიათ ღმერთი და თქვენთვის არაფერი გადაგიმაღავსთ იმ, მისგან ბოძებულ ტალანტებისაგან, რომელნიც მან მოგცათ თქვენი ამ ქვეყანაზე სიცოცხლის საფასის გასასტუმრებლათ.

მშვიდობით, მშვიდობით... თანდათან წყნარი ჩურჩულით ბუტბუტებდა ძველი წელიწადი.

შერიგდით, შეიყვარეთ ერთმანეთი, თავი დაანებეთ შურს, მტრობას, სიკრუეს, სხვის ცარცვა-გლეჯას, დაჩაგრვას, კაცთა კვლას, გაუტანლობას, აპატივეთ ყველას შენაცოდები შერიგდით, შეერთდით მისთვის, რომ ღმერთმა ქრისტეს მიერ შეირიგა ქვეყანა და აპატივა ცოდვები. ვინც ქრისტიანია, ის ახლად შობილია, რომელსაც არ აქვს უფლება წელიწადს უწოდოს ახალი და მისგან რაიმე ახალ ბედნიერ ცხოვრებას მოელოდეს. შეიყვარეთ ერთმანეთი, ნუ აყვებით ბოროტ სულს, იცოდეთ, რომ ყოველივე თქვენდა ჯერ არს, მაგრამ არა ყოველივე უმჯობესი და აღმაშენებელია. შეიყვარეთ ერთმანეთი, ძმები ხართ, ერთი ღედის (დედამიწის) ძუძუთი გაზრდილნი ეძებდეთ პირველად სასუფეველსა ღეთისასა და ყოველივე შეგვიძინოს თქვენ... უკანასკნელათ წაიბუტბუტა მომაკვდავმა ძველმა წელიწადმა და სამუდამოთ დალია სული ახლად ამობრწყინებულ მის მონაცვლე მემკვიდრის წინაშე.

რას ეკავებებს ახალი წელიწადი?

(ძველი და ახალი კაცი).

როცა ადამიანი გემში ჯდება და თვალ-უწვდენელ ზღვაში მიექანება, მას თავში უსათუოდ შემდეგი კითხვები ებადება: გადურჩება თუ არა ზღვის უღმობელ ტალღებს და როდის მიაღწევს ნავთსაყუდელს? ასეთი ფიქრები მით გამოწვეულია, რომ ზღვა ისეთი რამ სტიქია არის, რომელიც ადამიანს სხვა სტიქიაზე უფრო აფიქრებს. ზღვაში ადამიანი მარტოდ გრძნობს თავის თავს. ხშირად აგონდება უზენაესი გამგენი სამყაროსა და მასზედ არის დამყარებული მთელი მისი იმედები. ასე ფიქრობს და ასეთი იმედებით აღქურვილია საღი გონების შექონე ადამიანი.

სწორედ რომ ქვეყნათ ცხოვრება ზღვის მსგავსია. როგორც ზღვაში უღმობელი ტალღები ერთმანეთს დაეჯახებიან და ერთმანეთში ითქვიფებიან, ისე ამ ქვეყანაში ცხოვრება სდულს და გადადულს, როგორც გემში მჯდომი, ისე ყველა ადამიანი, თუ დაუფიქრდება თავის ცხოვრებას, მიხვდება, რომ ის საღაც მიექანება. უმთავრესი ალავი ამ მსოფლიოში მას უჭირავს. ის ხედავს, რომ ადამიანთა ერთი მოდგმა მეორეთი იკვლება. ცხოვრება წინ მიექანება, გადის ერთი წელიწადი და მეორე (რომელსაც ახალს ვეძახით) დგება. ყველა ადამიანი, დიდი და პატარა, მოხელე და ხელოსანი იფიწყებს ყოველივე ძველს და ახალ წელიწადისაგან ახალ რამეს მოეღოს. ყველა მაღალი აზრებით და ფიქრებითაა აღქურვილი, მაგრამ ზეცამდე არც ერთი მათგანი არ აღის. ჰკითხავ ხალხის მმართველს: რა უფრო გსურს ახალი წელიწადისაგან? — ხალხი რომ ჩემს ქვეყანაზე დადოდა — მოგივებს. ჰკითხავ ვაქარს: შენი სურვილი როგორია? — ცოტა ფულით ბევრი მოგება ვნახოვო გიბასუხებს ის. ერთი სიტყვით, ყველას სურს რაიმე სარგებელი ნახოს ახალი წელიწადისაგან. მაგრამ, რო დაუფიქრდები მათ სურვილებს, უმრავლესობას მიწიერი ხასიათი აქვს და არა სულიერი. ყველა მატერიალურ სარგებელს მის-

იათუოხი.

დევს. მე ყველაფერი, შენ კი არაფერა—ასეთია უმრავლესობასა სურვილი. თუმცა ახალი წელიწადი დადგა, მაგრამ უმრავლესობათა გული ისევ ძველია, ისევ იმას შეტრფის, რასაც განვილილ წელიწადში შეტრფოდა—ისევ ძველი ადამიანია. ასეთი ადამიანის იდეალი თვისი დაქმყოფილება და ვინაიდგან ზედმეტი დაქმყოფილება, ზედმეტი განცხრობა და ზომიერებაზე გადასული ფუფუნება სახსარსაც დიდს მოითხოვს, აქედან მოტყუილება და კაცობაობა ჩნდება. კაცობაობა აბა რა არის, როცა ადამიანი თვისი მიწიერი, პირუტყვეული სურვილის განსახორციელებლად ყოველივე საშუალებას მიმართავს. ასე წარმოიდგინეთ ადამიანის სიკვდილსაც არაფრად ჩაადგდეს. ეს ხომ ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცა. ასეთი ადამიანი ძველი ადამიანია. ღმერთს მისთვის თვალეები მიუცია, რომ სიბნელე სინათლისაგან გააჩიოს, მაგრამ ის ბნელეთში ყოფნას არჩევს მაინც. ყურებით მხოლოდ მიწიერს და წარმავალს ჰყურებს, ზეციერს, მარადიულს ყურადღებას არ აქცევს; არც უნდა გაიგონოს, რომ მისი გაგონებით აზრები არ შეცვალოს. ღმერთს მისთვის კეთა-გონება მიუცია, რომ ავი და კარგი ერთმანეთისაგან გააჩიოს. ის მაინც ავს აქცევს ყურადღებას და იმაზედ ფიქრობს, თუ როგორი საშუალებით მიადწიოს თავის წარმავალ წადილს. ძლიერ დამამკირებელია ადამიანისთვის ასეთი ყოფა-ცხოვრება. მეტადრე ისეთ დროს, როცა კაცობრიობა გონებით და ქონებით შესამჩნევად წინ წაიწია. მაგრამ უბედურება ის არის, რომ კაცობრიობამ კულტურა თვის ეგოისტურ ინტერესების დასაკმაყოფილებლად მოიხმარა. ერთი შეხედვით არაფერი არ გვაკლია მთელ იმ სიმდიდრეს, რომელიც კაცობრიობას ხელთ აქვს, ქრისტიანული სიყვარული რომ განაგებდეს, ასეთი არა ნორმალური მოვლენა, როგორცაა, მაგ., შიმშილისაგან სიკვდილი, ქვეყანაზე ხომ აღარ იქნებოდა. ამ ქვეყნად ტანჯულთ ცხოვრებას ხომ გაუადვილებდით. ამის მაგიერად მთელი ქვეყანა საეიდყოფოდ გადაქცეულა. დამკირებულთ ოხერა-ტანჯვის მეტი არა ისმის რა.

ზარბაზანთა ქება და ტყეის შუილი სწყვეტს ადამიანთა. ბედს თავს-თავადც ხადია, რომ სახარება და ცხოვრება არაა ერთმანეთთან შეთანხმებული. სახარება თუ სიყვარულს ჰქადაგებს, ცხოვრებაში ეხლა ეგოიზმი გამეფებულია. ოღონდ თითონ ფუფუნებაში იცხოვროს და ძმა მზადაა მასვე უღალატოს. ქრისტე თუ მთელი კაცობრიობის მხსნელად მოველინა ქვეყანას, ჯერ კიდევ შური და მტრობაა გამეფებული. მოციქული გვასწავლის რომ ქვეყანაზე ადამიანთა შორის გარჩევა არ უნდა იყოს, ქრისტესთვის სულერთია წარმართი, ურია, წინადაცვეთილი გინა წინადაუცვეთელი ბარბაროსი, გინა სკვითი, გინა მონა, გინა... (კოლ. 3, 11) ცხოვრებაში კი რას ვხედავთ? ერთ ერთგუნებას უნდა მეორე ჩანთქას. თავისთვის ბატონობა სურს სხვისთვის კი მონობა; ის კი დაუვიწყრია, რომ ადამიანი ერთ და იმავე წინაპართაგან წარმოიშვა, ყველანი ძმები არიან და ამიტომ თანაბარი უფლება აქვთ ამ ქვეყნად თავისუფლად განვითარებისა. რამდენი საუკუნოები გავიდა ქრისტეს მოსვლის შემდეგ, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ ქრისტეს დაუახლოვდით? ქრისტეს მოსვლის შემდეგ კაცობრიობა ყველაფრით წინ წაიწია, მაგრამ ქრისტეს კი დაშორდა. ამაში დანაშაულობა ჩვენდა დიდათ საუბედუროდ რელიგიის წარმომადგენელთაც მიუძღვით. მოვიგონოთ საშუალო საუკუნოების ინკვიზიცია. შორს რო არ წავიდეთ, ეხლანდელ დროშიც რამდენი ასეთი მაგალითებია, რომელნიც ნათლად დალადებენ, რომ ზოგიერთნი თანამედროვე რელიგიის წარმომადგენელნი არა ქრისტეს მიერ ნაჩვენებ, არამედ მრუდე გზით მიდიან, რომელმაც ისინი ხალხს დააშორა და მამონას დაუახლოვა (მათ. თ. 24). ასეთი ცხოვრების სურათი რწმენით განშტკიცებულ იმედს შავი ღრუბელივით თავს აწევა და დიდათ აფიქრებს.

მზგაესი ცხოვრება არა ნორმალურია. ასეთი ცხოვრება ძველი ადამიანის ცხოვრებაა. მოციქული გვასწავლის; „ვანიშორეთ თქვენგან პირველისა მისებრ სლოვისა თქვენისა ძველი იგი კაცი, განხრწნილი გულისთქმისა მისებრ

საქუთურისა და შეიმოსეთ ახალი იგი კაცი, ღმრთისა მიერ დაბადებული, სიმართლითა და სიწმინდითა ქეშმარიტებისათა (ეფეს. 4, 22-24). ჩვენ ქრისტეს მოსვლის შემდეგ ახალი ქმნილება ვართ. შეგვიძლია გამოვიდეთ ამ მდგომარეობიდან? თამამად შეიძლება ითქვას, რომ შეგვიძლია. ამისთვის შევადართ ჩვენი თავი ცხოველთა ცხოვრებას. ვსთქვათ, რომ რომელიმე პირუტყვს დიდი ხიფათი მოვლის. საჭიროა ცოტა აზროვნება, რომ თავი დაიკოს. მაგრამ ის პირუტყვია და აზროვნებას მოკლებულია. ადამიანი კი ამ გვარ მდგომარეობაში ჩავარდნილი, მოიხმარს თავის კუთვარებას. ამნაირად ადამიანი მით განირჩევა პირუტყვისაგან, რომ მას აზროვნების და მსჯელობის ნიჭი მიანიჭა გამჩენმა. მაშასადამე, ადამიანს ადვილად შეუძლია გაარჩიოს კარგი ავისაგან. ასე, ადამიანისთვის ღმერთს ქუთუ-გონება მიუნიჭებია და მით ქვეყანაზე მისთვის ბატონობა მიუცია. მაგრამ ბატონობა ერთი მეორის დაჩაგვრაში კი არ უნდა გამოიხატებოდეს. კაცობრიობა მაშინ იბატონებს ქვეყნად და ეს ბატონობა ნორმალური, ადამიანური იქნება, როცა ადამიანთა დამოკიდებულებას საფუძვლად სიყვარული დაედება და ერთი მეორეს თანაბარ ბედნიერებას უსურვებენ. ცხოველები, რომელნიც ჩვენის ძირით კუთვარებას მოკლებულნი არიან, როგორც დაკვირვებამ დაგვარწმუნა, თანხმობით ცხოვრობენ. ავიღოთ, მაგალ., კიანქველათა ცხოვრება. ვინ იფიქრებს, ერთი შეხედვით, რომ მათ ორგანიზაცია აქვთ. მაგრამ, როგორც მეცნიერებამ დაგვიმოქმედა, მათ ორგანიზაციის მზგავსი რამ აქვთ. ყველა მათგანი შრომობს, ყველა ცდილობს საერთო ბედნიერებისთვის. აგრე ვამჩნევთ ფუტკართა ცხოვრებაშიაც: მუქთა მკამელი მათ შორის არ არის. საერთო, შეთანხმებული ცხოვრება არის მათ შორის გამეფებული: არ არის შენ-ჩემობა, გვარიშვილობა, შური, მტრობა და სხვა ამისთანა. ასეთი ცხოვრება ცხოველებისა ჩვენთვის დიდი დამაფიქრებელი მაგალითია. დროა შევიგნოთ ჩვენი დანიშნულება ამ ქვეყნად და ქეშმარი-

ტების გზას დავადგეთ, არაფერი არ გვაკლია. ადამიანი ეხლა ისეთ კულტურას ჰფლობს, რომ მხოლოდ სურვილი იყოს და ყველაფრის გაკეთება შეიძლება. ჩვენ დავშორდით ქეშმარიტებას, მაგრამ... მაინც შეიძლება ქეშმარიტების გზას დავადგეთ. ნურავინ იტყვის და იმართლებს თავს მით, რომ ფუფუნებას და უდარდელ ცხოვრებას შეჩვეული ადამიანი ვერ შესძლებს უარ-ჰყოს წინანდელი პირუტყვული ცხოვრება. მართალია, ადამიანის ბუნებაში დიდი უთანხმოება სუფევს დიდი ბრძოლა არის გამეფებული სულიერ და კაცობრიულ ბუნებას შორის: „რამეთუ არა რომელი იგი მნებას კეთილი, მას ვყოფ, არამედ რომელი იგი არა მნებას ბოროტი, მას ვიქმ (რომ. VII, 19). ამ სიტყვების წარმომთქმელი ადამიანი თვისი მოქმედებით ჩვენი ცხოვრებისთვის დიდი მაგალითია. თუმცა მის ბუნებაშიაც დიდი საშინელი ბრძოლა იყო, მაგრამ მან მაინც სძლია პირუტყვულ ლტოლვას და ურიცხვ წვალებას და მით სამარადისო ცხოვრების გვირგვინი დაიმსახურა. ასეთი მაგალითები ბევრი არის. მაშ ადამიანს შეუძლია არა თუ ქეშმარიტებას დაუახლოვდეს, არამედ განახორციელოს კიდევ იგი.

ახალი წელიწადი დადგა. დროა დავსტოვოთ ძველი ადამიანის ფიქრები და ლტოლვა და ახალ ადამიანად გარდავიქცეთ, რომ ახალი ცხოვრება დამყარდეს ქვეყანასა ზედა. მხოლოდ ამისთვის საჭიროა გავიმსკვალოთ ქეშმარიტი სიყვარულით და ის ვაკეთოთ, რითაც გამჩენმა თითოეული ჩვენთაგანი დააჯილდოვა. ზოგს მსახურობის ნიჭი მისცა, რომ იმსახუროს სინდისიერად, ზოგს მასწავლებლობის — რომ ხალხის ნამდვილი მასწავლებელი იყოს, ზოგი ღარიბთ დამხმარებელია, რომ უხვად დაეხმაროს, ზოგს უფროსობა მიანიჭა, რომ გულმოდგინედ იუფროსოს (რომ XII, 6-9) და ზოგნი კი ღმრთისათანა შემწენი არიან (I კორინთ. III, 9), რომელთა მიეცა მადლი წინასწარმეტყველებით დასხმითა ხელთა ხუცობისათა, რათა ქეშმარიტი მოძღვრებითა თავი-

სი თავი აცხოვნონ და მათნი მსმენელნიცა
(I ტომ. VI, 14-16).

ფ. სირაძე.

სანაღვლო ეკსარონები

1

ახალ წელს

რას გვატყუებ, ჩემო ძიავე,
სწორათ თვალებს რომ გვიჩერებ?
შენ, რომ სწორათ მოგვექცევი,
ამას მე ვერ დავიჯერებ!..

ნათქვამია: ეკლის ძირზე,
კვლავ ეკალი ამოვაო;
ლევკიც დედის კვალზე იწყებს
ყფფას, „ამუ“, „ამუ“!..

2

ქუთაისის თავს და მამებს.

ქუთაისის თავს დამამებს
მოვასხენებ ცოტა რამეს,
რა უყოთ, თუ საფარსაგოთ
ჩემი სიტყვა ვერ აამებს!
სიბნელე რამ შეგაყვარათ,
სინათლეს რომ არ გვაკარებთ,
ათი ფანრით განათება
მთელ ქუთაისს რომ აკმარეთ.

წყალს მიღებით შოგაწვდითო.
ქვეყანა რომ დააჯერეთ,
არ გრცხვენიათ, ცხრა წელიწადს
პირობა რომ ვერ დაწერეთ?!

არც ტრამვაი!.. გზებში ტლაპო...
პლანებზე კი ხარჯავთ ძალებს!
სამ შაურათ არ ვიყიდით
თქვენს შედგენილ მშრალ-მშრალ
პლანებს.

3

ქუთ. ქალთა წრეს.

წრე ქარგია და განზრახვა,
საამოა მათი ნახვა,
დაეტკებებით თუ საიმედო, III
მოქმედება დაგვანახვა.

საზოგადოთ ქალთა ქცევას
მიაყენა დრომ აჩრდილი,—
ფენიქსივით განახლდით და
გადირეცხეთ ეს სირცხვილი.

დაუბრუნეთ ოჯახს დედა,
აღადგინეთ ძველი კერა,
მამულს შეილნი დაუხარდეთ,
დაგვიშვიდეთ გულის ძგერა.

4

საქართველოს.

შენი ჭირი შემეყაროს,
ჩემო უკვდავების წყარო...
ომერთმა მტერი მრგვაშოროს
და შემთხვევა სამწუხარო.

ვისურვებ, რომ შენს შეილებსა
შერჩეს მათი სახლი, კარი,
მიწა-წყალი, მთა და ბარი
სისხლთა თხევით მონაგარი.

წარსული გაქვს სხივმოსილი,
აწმყო რათ გაქვს განამწარი?
სასიკეთო მომავალი დაგვანახვე,
ვასწარი!

5

უურნალ „განთიადს“.

პირუტყვი და პირმეტყველი
განთიადით ტკბება, ხარობს,
ვისურვებთ ამ „განთიადმა“
დაგვატკბოს და გაგვახაროს.

ჩვენი ქვეყნის ჭირს და ვარამს,
ავსა და კარგს უგდოს ყური,
საღვთო და საერო საქმეს
გაუწიოს სამსახური.

საღვთო და საერო საქმე
ერთათ არის შესამტკიცი,
უერთმანეთოთ არ ვარგავს
შემიძლია ასჯერ ფიცი.

6

„თემს“

უსაფუძვლო პროტესტანტი
რომ მობოქე, გააჯარე.

რა მოიგე? — მკითხველები
შეაწუხე, გააჯავრე.

7

აკაკის.

ხო, და ქვეყნის ერთგულია
გულის სიღრმის კუნჭულამდის,
ვარს არ ვიტყვით ჩვენ ამაში,
თუგინდ გვცემონ სიკვდილამდის.

მაგრამ, კიტას ამორჩევა
თუ ოდესმე განიზრახეს,
პირადობას გაიხსენებს,
შავს მოგცემო, — მიაძახებს.

8

სოც. დემოკრატებს.

ქვიშაზე ვინც სახლს აშენებს,
ვერ ნახავს მისს დასასრულსა...
სიცრუე და ორპირობა
ავნებს ხორცს და მერე სულსა.

9

სოც. ფედერალისტებს.

ზარმაცობით მოგივიდათ,
გვიან იწყეთ ხალხში ზრუნვა.
ნათქვამია: კურდღელმაო,
რაც იკოვნა, ის იხტუნა.

10

მიწის მუშა სოც. დემოკრატებს.

„ამყოლს აყევ. დამყოლს დაყევ,
გაგახტუნებს განაკიდეს;“
ეს ანდაზა ვერ უშველის
თქვენი ჭირის გადამკიდეს.

თავს უშველეთ, გონზე მოდით,
მტერ-მოყვარე გააჩიეთ,
ცრუ მოძღვრება უკუაგდეთ,
კეთილი გზა ააჩიეთ.

11

ქუთ. ქალაქის თავს.

დღესაც იმედს არა ვკარგავთ,
ვინძლო კიდევ გაგვახარო,
ზუგდიდ — ხონით ქუთაისზე
რკინის გზაი არ გახარო.

მძლეთა მძლვეი ენერგია
ახლა უნდა მოიხმარო,
თვალეები არ წამოგვთხარო,
იარაღი არ დაყარო.

12

მღვდლებს.

სახარების კვალს მისდიეთ,
ნუ გაღუბნით იმის მცნებას,
იმის კვალზე გადახვევა
მიგაყენებს ჭირს და ვნებას.

ხალხის მამათ იწოდებით,
გაუწიეთ მას მამობა,
მაშინ იგიც მამათ გიცნობსთ
და შვილივით მიგენდობა.

თუ რომ თქვენთვის გაიქაჩეთ
ხალხიც მისთვის გაიქაჩვის;
აქ მით მიზანს უღალატებთ
და იქ ღმერთიც მწარეთ დაგსჯისთ.

13

„ადვოკატებს“

ქვეყნისათვის სასარგებლო
რა ხილია თქვენ რომ გადეთ?
ციმბირისკენ გზავნით ყველას,
ვისაც თქვენ „უადვოკატეთ“.

სიცრუეს, რომ ფულში ყიდით,
განათლების ნაყოფია?
მრუდს და ქურდს თუ გაამართლებთ,
ეს ზნეობის დამხობია!

გაჭირვებულს ფულს რომ ართ-
მევთ

და ჯიბეში ჩაილაგებთ,
რა სინდისით მიგაქვთ სახლში,
როდესაც რომ საქმეს აგებთ?!

14.

„ექიმბაშებს“.

დალოცვილნო, იფუყებით,
იბერებით როგორც გულა,
და ვისაც თქვენ უაქიმეთ
ასში ერთიც ვერ მობრუნდა.

ვისაც ღონემ უღალატა
გაემგზავრა, თქვენ ვერ შველით,
ამ ფულებს რომ იბოქებით,
რა საბუთით? რატომ შვებით?

15.

ზოგ. ახალ პოეტებს.

ცის ციაგი, ვარსკვლავ-ციმციმ,
მზის სხივები, მთვარის შუქი,
წყალ-მინდორ-ველ-ბაღ-წალკოტი,
სიტყვის გროვა, ბაქაბუქი.

16.

სტუდენტთა ერთ ნაწილს,
 თქვენი ქცევა მოეფინა
 მთელი ქვეყნის კიდით კიდეს...
 ნაღვლითა გვაქვს გული სავეს
 თქვენი ქცევის გადამკიდეს.
 გზარდეთ, ვხარჯეთ, არ დავზოგეთ
 თუ კი სადმე რამეს გავხდით,
 იმედი რათ გავვიცროუეთ,
 ისე როგორ გამოლაცდით?

...ახ, სოფელი რაშიგან ხარ,
 რას გვაბრუნებს, რა ხნე გკირსა...
 რით დავისხნით ამგვარ შვილებს,
 შავი ბედით „განაწირსა“?

რ. საჯავახოელი.

ქვირამ-ქვირამდე.

რომანოვების სახლელობას 300 სთუბი-
 ლერო კომიტეტმა შეიმუშავა საკითხები ჰენსიის
 დამსახურების შემოკლებული ვადის მოხელე-
 ობის (Гинис) და სხვების შესახებ. ახრადაა
 ა წლით შეამკრონ საჰენსიო ვადა; საკითხი
 ამისტიის შესახებ კი ჯერ ღიაა, რადგან ბევ-
 რი მოწინააღმდეგეა.

19 დეკემბერს 1912 წ. პეტერბურგის
 მიტროპოლიტის ელადიმეტის თავჯდომარეო-
 ბით მომხდარმა უწ. სინოდის სხდომაზე გადას-
 წვევითა სამასის წლის რომანოვების გვარეუ-
 ლობის საიუბილეოდ დაარსდეს საქალებო
 საღვთისმეტყველო ინსტიტუტი.

13 დეკემბერს 1912 წ. უმაღლესათ დამ-
 ტკიცდა უწ. სინოდის მოხსენებანი ბაქოს
 ეპისკოპოსის ჰიმენის ერევნის ეპისკოპოსათ
 ყოფნა, საქართველოს საეკლესიო საგარეო
 კორეპიკოპოსად, კახლოვის ეპისკოპოსის
 გრიგოლს კი ბაქოს ეპისკოპოსად, პირველ
 კორ-ეპისკოპოსად სასქარხისოში; ერევნის
 ეპისკოპოსი უნდა სხივრობდეს ქ. ტფილისს

ქართული ანდაზაა განჯას კურდღელი და ერე-
 ვანს მწე არიო!...

საბლერის თაოსნობით სინოდი უმახლო-
 ბელეს სხდომაზე განიხილავს ახალ პროექტს
 გადაყენებულ სასულიერო პირთა უფლების
 განსაზღვრაზე. ახლის პროექტით სასჯელი არ
 ეხება მღვდელთნელ ნამყოფთა და მონასტრის
 შორჩილთ. ხოლო თუ სასულიერო პირი
 (მღვდელი, მთავარი, ბევერი და სხვა.) თავისი
 ნებით გადადგება თავის წოდებიდან, მას
 ეკრძალება სახელმწიფო სამსახურში შესვლა
 ერთი წლის განმავლობაში, ყველა ეპარქიის
 ფარგლებში. თავის ეპარქიაში კი - 2 წლით
 მღვდელს, 3 წლით მთავრებს. ასეთ მთავრებსა
 და ბერებს, ნამსახურობის ადგილებში სამის
 წლით ეკრძალებათ ბინადრობა. ეს განკარგუ-
 ლება არ ვრცელდება სატახტო და საგუბერ-
 ნიო ქალაქებზე; სადაც გადამდგარი მღვდლებსა
 და ბერებს ბინადრობის უფლება ენიჭებათ. იმ
 სასულიერო პირთა სასჯელი რომელნიც
 სათანადო მთავრობას გადაუყენებია თანამ-
 დებობიდან, ორკეცდება. ხოლო ის ამღვდე-
 ლო პირნი, რომელთაც მთავრობა კვლავ დაუ-
 ბრუნებს ადგილს, სარგებლობენ ყოველივე
 უფლებებით, გარდა წინაღ მიღებულ ჩინ-ორ
 დენებისა.

როგორც ვაფიგეთ, ქართლ-კახეთი-
 სასინოდო კანტორაში რუსების განყოფილეს
 ბას აარსებენ!

„ხომ მაპატივებ!...“

(სამღვალა შქმთხევეა).

სურათი სოფლის ცხოვრებიდან.

ნათლისღების დღეა, ყველა სოფლის ნა-
 სახლარის ეკლესიისაკენ მიემურება. გამო-
 წყობილა სადღესასწაულოთ ქალი და კაცი,
 დიდი და პატარა ქალები ფერად-ფერად ტა-
 ნისამოსში, ჩიხტა-კობ-ლაჩაქში, ფერ-უშარუ-
 ლით „ჩამოთოვილი“ - კაცები თფერ ჩიხა-
 ახალუხში, მაღალ ყალამიან ქუდებით, ხმა-
 ხანჯლით „ამოკაბიწებული“ საყდრის ვალა-
 ვანს აქრელებ-აფერადებენ. ახალი სიძებო

შნოიანათ მოხდენილ ტანისამოსში თვის ახალ
ჯვარდაწერილ პატარძლებს უკან მოსდევ-
ვენ; პატარძლებს სიხარულის ერთგული
წინ და წინ უელის გულში. რა ბედნიერები
იქნებიან ისინი, როდესაც „ფარჩა-ფურობით“
გამოწყობილი, ყველა ქალებს წინ დაუდგე-
ბიან ეკლესიაში, თავიანთ ახლოს მდგომ ქმრებს
გადახედვენ და გუნებაში ეტყვიან მათ: „ერთი
შემომხედე, რა თვალნი მადგია, ნეტავი ჩემს
პატრონსაო!“. იქა-იქ სხვა მლოცველთ ათეუ-
ლიერებენ: მოგვიჩვენებია თუ არა და სტკე-
ბიან თუ არა ჩვენი „პრანკვიით“ ისინიცო.
თუ ვინმე შეამჩნიეს მათზე უკეთესი ჩაცმულება,
გულთ სიბრაზით ევსებათ და ზიზღით გულში
ამბობენ: „რა მკოდნია ვიგინდარა ამა და
ამის ცოლისა, ის ისე დაშორებულია ჩემგან,
როგორც დედამიწა ცისაგანო...“ შენი ჩემო
თავო!... არ გამკვირს მისი „კონკები“ო!
როდესაც ყმაწვილი ქალ-ვაჟნი, ახლად ჯვარ-
დაწერილნი და გასათხოვარი — ცოლ-სათხოვენი
ამ ფიქრებში არიან გაართულნი, მიმოხუცებუ-
ლები მოწინაბით მივლენ, ეკლესიის კარებში
ქუდს, ჯოხს და ყალიონს აყუდებენ; შე-
დიან ეკლესიაში და ხმამაღლა ლოცულობენ:
„დიდება შენდა, ღმერთო, დიდება შენდა...
ღმერთო, მომხედე... ნუ წამწყმედ, ნუ დამსჯი,
მომეცი შენი წყალობა... ნუ დამაგდებ მე
ცოდვილს... შეიბრალებ ჩემი წვრილი ცოლ-
შვილი, მშვიდობის წედინადი მომიბრუნე, გე-
ხვეწები, გემუღარები!“... შემდეგ მოწი-
წებით ხატებს ჩამოუვლიან სამთხვევათ, გამო-
დიან გარეთ მღვდელს „შენდობას“ სთხო-
ვენ და იქ მყოფთ მიესალმებიან ამ სიტყვებით:
„გამარჯობა თქვენი ყმაწვილებო!“ მოხუცე-
ბულები ერთ კუთხეზე ჩამოდგებიან და ერთი
მეორეს ემუსიფებიან დღიურ ჭირ-ვარამზე,
ყმაწვილი ქალ-ვაჟნი ერთი მეორეს ეხუმრებიან,
სიცოცხლეში აქვსთ. ამ დროს ცისკრის
ლოცვა გათავებული იყო და წირვის ჯერ არ
დაიწყათ.

დაირკვა წირვის დადგომისა. მღვდელ-
დიაკონი ეკლესიაში შევიდენ და წირვას შე-
უდგენ. ახალ-ვაზრდა მღვდელი კაპიტონ თე-

თრადე მკაფიოთ, დინჯათ, სასოებით და ყვე-
ლასათვის გასაგონათ ამბობდა „მშვიდობიანს“.
სოფლელებისგან შემდგარი გუნდი ორ ჰიკრათ
გალობას ეუბნებოდა. გალობა კაი გამოდიო-
და, თუმცა ხანდისხან პირველი ხმის გა-
დაკრიმან ქულ-გადაგრეხილი გალობა, ცოტა არ
იყოს, ყურს ეჩოთირებოდა, მაგრამ რას იზამ...
ამ გალობაში „ხელოვნება“ იხატებოდა, თუმ-
ცა საეკლესიო გალობას „სადაობა“ უფრო
შეშვენის და არა ხელოვნება.

„განიცადენზე“ მღვდელი კაპიტონი გა-
მოვიდა, დადგა ამბიონზე და იმ დღის შესაფე-
რი სიტყვით მიმართა იქ დამსწრე საზო-
გადოებას. მის ქადაგებაში არავითარი „სქო-
ლასტიური“ არ იყო, ის იყო უბრალო საუ-
ბარი, ყველასათვის გასაგები, ახსნა იმ დღის
ისტორიისა უფლის ნათლის ღებისა.

„შიშითა ღვთისათა და სარწმუნოებით
მოვედით“ სთქვა მღვდელმა. ხალხი შე-
ინძრა, აქა იქ ქალებმა ატატებული ბავშვები
წამოაყენეს საზიარებლად; რალაც ხმაურობა
შეიქნა, მღვდელმა შენიშვნა მისცა: ნუ დაიწ-
ყებთ ხმა მაღალ ლაპარაკსო, მაგრამ, მაინც
ხალხი თავისას არ იშლიდა. აქვე უნდა შეე-
ნიშნოთ, რომ სიტყვის გათავების შემდეგ შიგა
და შიგე მამაკაცებმა თავისებური „რეცენზია“
წარმოსთქვეს მღვდლის ქადაგებაზე: „შენი
გამჩენის კირიმე მღვდელიო, ამ წირვას ეს ქა-
დაგება სჯობდა“ო, ამბობდენ ისინი.

„რომელი აკურთხევს“ რომ ვაათავა
მღვდელმა კაპიტონმა, ხალხს უთხრა: „აბა
ასვენეთ ბაირალები, ხატები და წავიდეთ
წყლის საკურთხათო“. ხალხში ჩოჩქოლი შე-
იქნა, გამოურკვეველი ხმაურობა ისმოდა, რიგი
რას ამბობდა, რიგი რას. როგორც იქნა, ასვენეს
ბაირალები, ზოგმა ხატები ჩაისვენა ხელში,
მღვდელი და დიაკონი გამოვიდენ ეკლესიიდან.
„წამობდნდით“ დაიძახა დიაკონმა. ხალ-
ხი შეჩერდა, მგალობლები და მებაირალები
არ იძვროდენ.

რაშია საქმე? კითხულობს მღვდელი.
— საქმე იმაშია, მამაო, რომ ჩვეულებ-

რივად მდინარე ჩ. ვერ ვაკურთხებთ დღეს, მისთვის რომ, როდესაც ეგ მდინარე ეკურთხა, იმ წელიწადს ადიდდა ხოლმე და წალეკა ყანები, და მშრალზე დაგვსვა ხოლმე, წელს აღარ გვინდა მაგის კურთხევა. წავიდეთ და აგერ ახლოს წყარო ვაკურთხოთ.

— ეგ შეუძლებელია! განა ნაკურთხი მდინარე ზარალს მოგაყენებს, ეგ ბუნების ბრალია, შეიძლება წყალი-დიდობის დროს ადიდდეს, მაგრამ აქ კურთხევა რა შუაშია? სჯობია ისევ ეგ ვაკურთხოთ, ფართოთ გავიშალოთ ქალაში, ყველა მიეტვეა მდინარეზე, ის ანკარაა, წმინდა ბროლივით და ყველაც ირგებს თავისუფლად წყალსა.

— არ შეიძლება, დღეს წყარო უნდა გვიკურთხო, გაიძახოდა ხალხი.

— თუ თქვენ არ წამოხვალთ წყლის საკურთხათ, მე წავალ და ვაკურთხებ,—სთქვა მღვდელმა და წავიდა დიაკონ-მნათიანა მდინარის საკურთხათ.

მღვდელი კაპიტონი თავდაღმა დაეშო, ეკლესია მალღობზე იდგა, ძირს მდინარე ჩ. მიჩხრიალებდა. მღვდელი ახალი ნაკურთხი იყო და ამ სოფელში ერთი კვირის გამოწესებული. როდესაც იკითხა და უთხრეს, რომ ყოველ წყალკურთხევას ეს მდინარე ეკურთხებოდაო, ამ ნათლილება დღესაც მოინდომა მისი კურთხევა; თუმცა ეკლესიაზე მდინარე ჩ. დაშორებული იყო და ხალხისაგან ნაჩვენები წყარო კი იქვე ეკლესიის გვერდში იყო.

მღვდლის „ურჩობამ“ ხალხი ააშფოთა. როგორ თუ მღვდელი ჩვენ ნებაზე წყალს არ გვიკურთხებსო. ხალხი ირყეოდა და ღელავდა ეკლესიის გაღაფანში. აქ-იქ გაისმა ხმები:— „ნამაო, გთხოვთ, ნუ მიდინარე მდინარე ჩ-ზე ჩვენ გვინდა, წყარო გვიკურთხო. არ ვარგა მაგისთანა საქმე, თუ ჩვენი მღვდელი ხარ, აქეთკენ უნდა წამოხვიდე, ჩვენსკენ!“.

მღვდელი თავისას არ იშლიდა და მიექაჩებოდა მდინარისაკენ.

ხალხიდან გამოვიდა რამდენიმე თავალე-ბული ახალ-გაზდა, მოსტეხეს სარები. ერთ-

მა მათგანმა იძრო ხანჯალი და გამოუდგა მღვდელს.

ამ დროს ერთი უცხო კაცი, დაეწია მღვდელს და უთხრა:

— მამაო, მე გთხოვ მამა შეილობით ჩემი დაიჯერო! ნუ აყვები ამ ხალხს! ხომ იცი, სოფლის კაცი თუ გადირია, ველარაფრით შეუმაგრებ თავსა. თავი არ წააგო, ეგენი კაის არაფერს დაგმართებენ. შენ ერთი ახალგაზდა, ნასწავლი მღვდელი ბრძანდები, ცოლ-შვილის პატრონი. მიყევი მაგათ ნებაზე. ნამეტანი არაფერი არ ვარგა.

ამ ლაპარაკის დროს მოიხედა მღვდელმა და ერთი მრევლთაგანი ხანჯალ ამოწვდილი ათ ნაბიჯზე მოშორებით დაინახა.

უცხო კაცის სიტყვებმა და ხანჯალმა მღვდელი საგონებელში ჩააგდო და უკან გამობრუნდა; მღვდლის დასაკრავი ხანჯალი ისევ ქარქაშში ჩაეგო, მღვდელი კი გამობრუნდა და წავიდა წყაროსაკენ საკურთხებლად; მდინარე ჩ. დასტოვა იმ დღეს უკურთხი.

მღვდელი კაპიტონი კი წავიდა წყლის საკურთხათ წყაროზე, მაგრამ ვერ წარმოიდგინებდა რა ცეცხლი ენთო მის გულში. შეუდგა წყლის კურთხევას, მაგრამ რაღა შეუდგა, მისი სული და გული მხოლოდ იმითი იყო მოცული გაეგო, რა მიზეზია, რომ მას ასე უდიერათ მოეკიდენ, მათთვის კეთილის მდომს და მოძღვარს, ისიც ასეთ დიდებულ დღეს, იესო ქრისტეს ნათლის ღების დღესასწაულს? ნუ თუ ამაზე მეტი ჩაგდება არ უნდა ჰქონდეს ამისთანა მღვდელს თვის მრევლში? მაშ რაღათ უნდა ეცადოს რამეს? ეს ხომ წინა მორბედია მისი, რომ ყოველივე მის ცდას სოფლის საკეთილ-დღეოთ ყოველთვის ასეთი შედეგი მოჰყვება და მაშინ ხომ ამოა ყოველავე ცდა, შრომა და ჯაფა! არა, აქ სხვა პატივსადები მიზეზი უნდა ჰქონდეს დღევანდელ შემთხვევას და მიზეზი სულ სხვაგან უნდა ეძიო; უმიზეზოდ ხომ არაფერია ქვეყნად. ვეცდები გამოვიკვლიო. გამოვიძიო ის სარჩული, რომელიც ამ გარამოვებს დაედვა.

ამ ფიქრებში იყო ვართული იგი, რომ „დიდი აიაზმა“ შესარულა უკვე; ის იმდენად არ იმსჯელოდა დიდი საწინასწარ-მეტყველებით და ლოცვებით, რამდენათ იმ აზრით, რომლის მოწმე ის იყო იმ დღეს. მართალიც იყო ამაში მღვდელი, რადგან უკიდურესობამდე მივიდა უზრდველობა მისი მრევლისა, რომელმაც კეტი და ამოდებული ხანჯალი მიუღირა თვის ახლად განწესებულ მოძღვარს, რომ ამით თვისი გიჟური ლტოლვილება დაეკმაყოფილებია. მღვდელს გული ბოღმით საესე ჰქონდა, და ისე უცემდა, თითქო ბუდიდან გაღმორდნას ლამობდა.

ჯერ ჩემს სამოღვაწეო ასპარეზზე ფეხი არ შემიდგამს და ამას რას ვხედავო, ამობდა გუნებაში მღვდელი და უსუბით იქით-აქეთ ასხურებდა ნაკურთხი წყალით ხალხს. შემდეგ ის ეკლესიისკენ წამოვიდა, დაათვა წირვა, გაიხადა შესამოსი, ჩაიცვა ანაფორა, დაიხურა ქული და გულ-გამსკდარი გამოვიდა. გარეთ, სახლში წასასვლელად. ზოგიერთმა კრველთა-განმა ჩვეულეარეოდ შეჰპატივა ახალ ნაწირავი და ამდენი ნადავიდარბები მღვდელი, მაგრამ მას ყურით არავეისთვის უთხოვბია; იმ საათში მას ყოველი ადამიანი ამაგდა და თვალითაც არ დაენახებოდა, არამცთუ შინ წაყოლოდა და მის პურ-ღვინოზე ესამოვნებია.

იმ დღეს გამოურკვეველ ვაი-ვაგლახში დააღამა მღვდელმა. გათენებისას მასთან მიიქრა ის კაცი, რომელიც ხანჯალ ამოწვდილი გუშინ უკან გამოუდგა, რომ შემოსილი მოძღვრისათვის თავი ვაეპო, თუ მის ნებაზე არ წაივლოდა. ამ კაცს სახე ლმობიერი ჰქონდა და სინანულს მოეცა.

მღვდელმა რომ ეს კაცი დაინახა ერთი შეხედვით საოცარი ზიზლი იგრძნო და მერმე იფიქრა: ჩემს შეურაცყოფის მიზეზს ახლა მაინც ვაგიგებ და თუ მე ვიქენი დამნაშავე მე დაესჯი ჩემს თავს, ხოლო თუ ჩემ მრევლს ედება წილი ამ დანაშაულში, მაშინ გეტყვები მათში სინანული გავაღვიძო.


შენდობა, მამაო! ვებრუნები და ვეშუ

ღარები მიმილო და ამახსნევო ყველაფერი. მე თქვენთან ისეთი შემცოდე ვარ, რომ ცათამდე დამნაშავე ვარ, არაფერი გასამართლებელი არა მაქვს, შეგიძლია დამარჩო, მაწამო, ჩემ ცოდ-შვილს ყელი გამოჭრა, მაგრამ იმდენს მამა-შვილობას გთხოვ, წინ-დაწინ მათქმეინე და მალიარებიე საქმე რაში იყო, სთქვა შემოსულმა.

— მე ისეთი დღე დამაყენეთ თქვენ გუშინ, რომ ეს ჩემს სიკოცხრეში გულიდგან არ ამომშორდება, — ეუბნებოდა მღვდელი. მე ისეთი კაცი არა ვარ, რომ მთავრობას ეს ამბავი განუცხადო და შენ და შენი ამხანაგები პასუხის გებაში მიგცეთ ჩემი შეურაცყოფისათვის; მაგრამ ეს კია, თუ ნამდვილი ვარემოება არ ვაგიგე, არ შემიძლია მოვისვენო და შენ იმას გთხოვ ყოველივე დალაგებით მომიყვე, რათ მომექცეთ ისე სასტიკად.

— დიახ მეც ამისათვის გიახელი და იმედი მაქვს მომისმენ. ბოლომდე თუ მომიტმენ და არ „გამცემ“ ყველაფერს მოგახსენებ. ჩვენში, თქვენს მრევლში, კია ხანია განყოფილება ეკლესიის გამო. ცვდილობდით ერთი მეორეში ერთობა გვქონოდა, ერთს ალავს ეკლესია აგვეშენებია ნაკვლად ძველი, უვარგისი ეკლესიისა. მაგრამ არ იქნა ვერ შევთანხმდით ერთმანეთში. 80 კომლა ავარჩიეთ ის ადგილი სადაც ახლა ახალი ეკლესიაა და დანარჩენი 30 კი ისევ ამ ძველ ეკლესიაზე დარჩენ.

იმათ გაუჩნდათ ერთი „ღვთის მტერი“ ვიდაც ვეჭილი და უთხრა, თუ თითო კომლი თითო საპანე ღვინოს მომცემთ, მე ვეტდები თქვენ ისევ ამ ეკლესიაზე. ძველზე დაგტოვოთ და ისინი კი, ე. ი. ჩვენ, ვერ ეღირებთან ეკლესიის გაკეთებასო. ასეც მოიქცა ეს თვალთმაქცი. ის 30 კომლი მოგწვევითა გულიდან. ჩვენ მაინც ჩვენი არ მოგვიშლია. დავიწყეთ ახალი ეკლესია, დაგვეხარჯა რამოდენიმე ათასი მანეთი, გავტყავდით, ამოგვჭერა სული და დღეს კიდევ საცინლად გვიგდებენ... ის 30 კომლი არც ეკლესიის გაკეთებაში შემოგვიდგა და ისეც გვეჩხირება თვალში; ჩვენ ეკლესიაზე დადიან წირვა-ლოცვის მო-



იულიუს საარეკ

მოიჯარადრე ქუთ. ქალ. ქ. ნავთით

-x: განათებისა -x-

და

მხოლოდ ერთი წარმომადგენელი
ქუთ. და ბათუმის მაზრისა ამ მშვე-
ნიერ ხანგძლივ **x: ფარნებისა**

ი. ი. ნ.

უფროსილდით მიმსგავსებას

მისაძაბრთი ალექსანდრეს ქუჩა, თეგდარაძის სასაღვ. ტელეფონი № 18.

სულიერი მამები წაბრძანდნენ, აღმაშენებელი კომიტეტის წევრნი იახლენ მათ მეუფებას იმერეთის ეპისკოპოსს გიორგის და გააცენეს საქმის გარემოება. მათმა მეუფებამ უბრძანათ, მარტო მღვდლებს მოსვლას მნიშვნელობა არ აქვსო, არხიტექტორიც მათთან უნდა ყოფილიყო, თორემ ისე არაფერი არ გაეთდებო. 24 ნოემბერს 1912 წელს, როგორც გაეიგე, თურმე მოიჯარადრე ლოლაძეს მოუყვანია არხიტექტორი და დაუთვალა იერებია თუ არა ეკლესია, მაშინვე გაბრუნებულა, ასე, რომ ეხლა მოძღვრები არ მობრძანდნენ და, როგორც ხმები არის გავრცელებული, თურმე იგინი დ. ჩხარში გაჩერებულიყვენ. თუ ეს

ასე იყო, ან ჩხარამდის დახე იწუხებდნენ თავს მამები. უკეთესი იყო და უფრო აღარ შეწუხებდებოდნენ, შესტატუნში გაჩერებულიყვენ. კომიტეტის წევრებს მთელი საბუთები ხელთ აქვსთ, რომელ საბუთებიდანაც იხსნება, რომ მოიჯარადრეს ფულიც და მასალაც სრულიათ მიღებული აქვს. მაგრამ კომისიამ არ მოიყარა ერთად თბვი, რომ მათ გაესინჯათ საბუთები. კომიტეტის წევრნი და მრევლიც დარწმუნებული არიან, რომ მოიჯარადრე კომისიისაგან შემოწმებას ეკლესიისას სხვა წაირათ გამოიყენებს, ვინაიდან არც ღღემდის და არც ღღეს იგი არ ზოგავს მრევლს და ყოველ ღონეს ხმარობს ხალხისაგან მეორეთ აილოს ეკლესიის

ფასი, თორემ ჯარიმის პატიების წინააღმდეგი არავინ არის. სწორეთ ამისთვის სურდათ კამიტეტის წევრებს ეკლესიის შეფასებას დასწრებოდენ და კომისიის წევრებს, როგორც დავალებული ქონდათ მართალი ცნობები შეეკრობათ მათი დახმარებით. მაგრამ საუბედურათ ეს ასე აღარ მოხდა და მრევლსაც და კამიტეტის წევრებსაც ეჭვი შეეპარათ და უკანონოთ სცნობენ კომისიის მოქმედებას, ვინაიდან ერთათ არ მობრძანდნენ და როდესაც მობრძანდნენ ყოველთვის მათ, როგორც დარაჯი, ახლდათ ხოლმე მოიჯარადრე, რომლის მიცემულ ცნობებსაც დაჯერდა კომისია, ვინაიდან სხვა არავინ დასწრებით და, როდესაც დაესწრენ კამიტეტის წევრნი, მათი არაფერი

არ დაიჯერეს, როგორც მაგალითად ზევით სწერია მასალის შესახებ.

საქირო არის ამ გარემოებას ჯეროვანი ყურადღება მიექცეს ვისგანაც ჯერარს.

აღიოშა.

რედაქტორი მღვდელი სიმონ მჭედლიძე

გამომცემელი იოსებ ლეჟავა

განათლება

მიიღება ხელის მოწაბა 9113 წლისათვის

სამეცნიერო-პედაგოგიურ და სალიტერატურო ჟურნალ „განათ-

ლებაზე (წელიწ მე-6-). 1913 წელს ჟურნალი „განათლება“ ჩვენ უღებრივად გამოვა ყოველ თვის შუა რიცხვებში გარდა ზაფხულის ორის თვისა. ჟურნალში მონაწილეობას იღებენ ყველა ჩვენი საუკეთესო მეცნიერები, მწერლები, პედაგოგები და პოეტები. იანვრიდან ჟურნალში იქნება ცალკე განყოფილება, სადაც დაიბეჭდება ყოველგვარი ცნობები ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა და მისი განყოფილებათა მოქმედების შესახებ. წლიური ფასი ჟურნალისა არის 4 მ., მხოლოდ სოფლის მასწავლებლებს და სასოფლო სამკითხველოებს ჟურნალი დაეთმობათ წლიურად 3 მ., საზღვარ-გარედ 5 მ. ვინც წლიურ ფასს ჟურნალისას იანვრის ბოლომდის გადაიხდის, საჩუქრათ მიიღებს განსვენებულის იაკობ გოგებაშვილის მოზრდილ სურათს. ხელის მოწაბა მიიღება ტფილისში: ქართულ გიმნაზიაში, „ნაკადულის“ რედაქციაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, ივანე ავალიშვილთან ქუთაისში - ისიდორე კვიციანიძესთან, ბათუმში - წიგნის მაღაზია „განთიადი“, ამ ორ ადგილას იყიდება ცალკე ნომერებიც, თითო 40 კ. რედაქცია სთხოვს ხელის მოწაბრლებს, ღროზე დაიკვეთონ ჟურნალი. მისამართი: Тифлисъ Грузин. Дворянская Гимназія. Л. Г. ВОЦВАДІЗЕ. რედ.-გამ.

გ. ბოცვაღზე.

Открыта подписка

на политическую, общественную и литературную ежедневную газету

ЗАКАВКАЗЬЕ

Безпартійно-прогрессивный, демократический органъ, обелуживающий интересы Закавказскаго края, безъ различія національностей.

(Восьмой годъ изданія).

Подписная цѣна.

Съ доставкой въ городъ Тифлисъ:

| | | | | | | | | | | | |
|-------|------------|------------|------------|------------|------------|------|------------|------------|------------|------------|-------|
| 12 м. | 11 м. | 10 м. | 9 м. | 8 м. | 7 м. | 6 м. | 5 м. | 4 м. | 3 м. | 2 м. | 1 м. |
| 5 р. | 4 р. 70 к. | 4 р. 40 к. | 4 р. 10 к. | 3 р. 80 к. | 3 р. 40 к. | 3 р. | 2 р. 60 к. | 2 р. 20 к. | 1 р. 75 к. | 1 р. 35 к. | 75 к. |

Съ пересылкой для иногородныхъ.

| | | | | | | | | | | | |
|------|------------|------|------------|------|------------|------|------------|------------|------------|------------|-------|
| 7 р. | 6 р. 50 к. | 6 р. | 5 р. 50 к. | 5 р. | 4 р. 50 к. | 4 р. | 3 р. 50 к. | 2 р. 80 к. | 2 р. 10 к. | 1 р. 40 к. | 75 к. |
|------|------------|------|------------|------|------------|------|------------|------------|------------|------------|-------|

За границу вдвое больше городской.

ПЛАТА ЗА ОБЪЯВЛЕНІЯ.

Для Закавказья за мѣсто, занимаемое строкой петита: впереди текста 15 коп., позади текста 10 коп., посреди текста 50 коп., Стороннее сообщеніе 15 коп., зрѣлища и увеселенія 20 коп.

За многократныя объявленія скидка.

Объявленія о спросѣ и предложеніи труда, объ отдачѣ квартиръ, наймѣ прислуги на 4 стр. — 25 коп., каждое. Траурныя объявленія — 4 руб.

Объявленія внѣ предѣловъ Кавказа принимаются исключительно въ центральной копторѣ торговаго дома Л. Э. Метиль и К. въ Москвѣ, Мѣницкая, д. Сытова, въ отдѣленіяхъ въ гор.: С-Петербургъ — Большая Морская, № 11, въ Варшавѣ — Маршалковская, № 190, по 24 коп., передъ текстомъ 4-12 коп., послѣ текста.